პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 თებერვალი, კვირა, 1987 წ.
№ 32 (9443) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



გუშინ, თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საკონტრო- [illegible] რის. ამ მატჩის თვით შემოსავალი — 66 898 მანეთი ორივე გუნდისა და „დინამოს" სტადიონის დირექციის გადაწყვეტილებით სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული დასავლეთ საქართველოს რაიონების დახმარების ფონდში გადაირიცხა.

იხ. მე-4 გვ.

БАКУРИАНИ-87

## არქიტექტორთა საერთაშორისო სპორტული კლუბი: არქიტექტურა და სპორტი

**ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ** ქვეყნების არქიტექტორთა მეგობრული და საქმიანი კონტაქტების განმტკიცება, შემოქმედებითი ძიების სტიმულირება, აგრეთვე სპორტული შეჯიბრებები — ასეთია არქიტექტორთა საერთაშორისო სპორტული კლუბის მესამე სემინარისა და სამთო-სათხილამურო სპორტში ჩემპიონატის მიზანი. ეს სემინარი 14 თებერვალს გაიხსნა ბაკურიანში. შეხვედრის წინ თბილისში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს მისმა ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა.

არქიტექტორთა საერთაშორისო სპორტული კლუბის პრეზიდენტმა — საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. ჯაფარიძემ თქვა, რომ ბაკურიანი მიიღებს ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, ამერიკიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებს.

კლუბის მზარდ პოპულარობას მო-

იხ. მე-3 გვ.

## რევანში

**ᲝᲢᲐᲕᲐ.** საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების მეორე შეხვედრამ ნხლ-ს „ვარსკვლავთაგან" დაკომპლექტებულ გუნდთან კანადის სპორტისმოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ გუნდების პირველ მატჩში, ორი დღის წინ, წარმატებას პროფესიონალებმა მიაღწიეს. განმეორებით შეხვედრაში უპირატესობა სსრ კავშირის ნაკრების მხარეს იყო, რომელმაც დამსახურებული რევანში აიღო — 5:3 (0:1, 3:0, 2:2).

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები: ძიუდო, კრივი, შაში

## ოთხნი კვარცხლბეკზე

**ლენინგრადის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში. შეჯიბრების პირველ დღეს გამოვლინდა ორი ჩემპიონი. ორივე ოქროს მედალი საქართველოს ფალავნებმა მოიპოვეს. მძიმე წონაში გაიმარჯვა ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ, ქვემძიმეში — თბილისელმა კობა კურტანიძემ. კიბორძალიძე პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, კურტანიძე — ზედიზედ მეხამედ.**

მძიმეწონოსანთა ტურნირში 23 მოჭიდავე ჩაება, მათ შორის სამი ქართველი ფალავანი: აკაკი კიბორძალიძე, ავთანდილ გუბელაძე და ვალერი პარუნაშვილი. კიბორძალიძემ პირველ წრეში რიაზანელი ვლადიმერ ზიაბჩენკო დაამარცხა, გუბელაძემ — კურსკელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ექსჩემპიონი ალექსანდრე შუროვი. პარუნაშვილი გამოცდილ ალმაათელ მოჭიდავეს ნიკოლაი ჩოლოვინეცს შეხვდა. მეტოქეებმა ქულა ვერ აიღეს და აქტიურობისთვის გამარჯვება ჩოლოვინეცს მიეკუთვნა. მეორე წრეში გუბელაძესაც მოეცარა ხელი, კიბორძალიძე კი წინ მიიწევდა. მან ზედიზედ სამი წმინდა გამარჯვება მოიპოვა. 2 წუთსა და 10 წამში მან მახრჩობელა ილეთით მოუგო სიმფეროპოლელ ოლეგ გრიცმინს, შემდეგ 1 წუთში შებოჭა ლენინგრადელი სერგეი ტარანი, ნახევარფინალში კი წუთნახევარი დასჭირდა კუიბიშეველი სპორტის დამსახურებული ოსტატის ხაბილ ბიქთაშევის დასამარცხებლად. მეორე ქვეჯგუფიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში ჩელიაბინსკელი გრიგორი ვერიჩევი გავიდა. ამ ფალავანს კარგად იცნობენ ძიუდოს მოყვარულები — ვერიჩევი არაერთხელ იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონა-

იხ. მე-3 გვ.

წელს, როგორც ცნობილია, სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველ საკავშირო თამაშებს ჩვენი რესპუბლიკა უმასპინძლებს. თბილისში, კიროვის პარკის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ნორჩ კალათბურთელთა რესპუბლიკური შეჯიბრება, რომლის მიზანი იყო მომავალი თამაშებისთვის ნაკრები გუნდის წევრების შერჩევა. (ამ ასპარეზობის შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში გესაუბრებით).



## საინტერესო ფინალის მოლოდინში

**ალბათ,** კრივის ყველა გულშემატკივარმა ნახა ტელევიზიით კაუნასში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრები. მართალია, უკლებლივ ყველა ორთაბრძოლას ყურადღებით ვადევნებდით თვალს, მაგრამ, ყველაზე მეტად მაინც თბილისელი სპორტის ოსტატის რუდიკ კაზანჯიანისა და საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ალექსანდრე მახმუტოვის (მოსკოვის ოლქი) პაექრობის ბედი გვაღელვებდა, რომელიც მახმუტოვის გამარჯვებით დამთავრდა. სხვაა გულშემატკივრის თვალით დანახული ბრძოლა (ხშირად სუბიექტურები ვართ ხოლმე), ამიტომ საინტერესო იქნება სპეციალისტის კომენტარი. საბჭოთა კავშირის ნაკრე-



რუდიკ კაზანჯიანი.

ბი გუნდის მთავარ მწვრთნელთან, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან არტემ ლავროვთან საუბარს გთავაზობს ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი:

**ა. ლავროვი:** ძალიან მომეწონა უმცროსი კაზანჯიანის ბრძოლა. საერთოდ, მომწონს ეს ბიჭი და კარგა ხანია თვალს ვადევნებ მას. ვფიქრობ, მსაჯებს მეტი სიზუსტე უნდა გამოეჩინათ...

14 თებერვალს ტურნირის ფინალისტები ისვენებდნენ. მათ შორისაა საქართველოს წარმომადგენელი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ხვიჩა ხდრიანი. 15 თებერვალს იგი მსოფლიოს ექსჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს იური ალექსანდროვს შეხვდება.

## დებიუტი

**ᲓᲐᲣᲒᲐᲕᲞᲘᲚᲡᲘ** (ლატვია), 14 თებერვალი (დეპეშით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). საკურორტო ქალაქის საჭადრაკო-საშაშო კლუბში საზეიმოდ გაიხსნა შაშში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი. შეჯიბრებაში ბევრი სახელოვანი მოშაშე მონაწილეობს, მათ შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანატოლი განტვარგი, ევროპის ჩემპიონი ვადიმ ვირნი, საერთაშორისო დიდოსტატები. ასეთ შეჯიბრებაში პირველად ცდის ძალას თბილისელი ოსტატი ჯუმბერ ბერიშვილი. მისი მიზანია ათეულში მოხვედრა, დიდოსტატის ბალს კი პირველ ხუთეულში გასული სპორტსმენები მიიღებენ.

გთავაზობთ კენჭისყრის შედეგებს: 1. ანატოლი განტვარგი (მინსკი), 2. ჯუმბერ ბერიშვილი (თბილისი), 3. მარკ შულმანი (მინსკი), 4. ალექსეი ჩიჟოვი (უსტინოვი), 5. ნიკოლაი მიშჩანსკი (ტაშკენტი), 6. ტუნდის ვალნერისი (რიგა), 7. ალექსანდრე პრესმანი (მინსკი), 8. ალექსეი ვერხოვიხი (კალინინი), 9. ვადიმ ვირნი (ხარკოვი), 10 მიხაილ კორენევსკი (ლენინგრადი), 11. ალექსანდრე მოგილიანსკი (რიგა), 12. ალექსეი ბეზვერშენკო (კიევი), 13. ალექსანდრე ბალიაკინი (მინსკი), 14. იური ერმაკოვი (მოსკოვი), 15. დიმიტრი დრუჟინინი (ბენდერი), 16. ანდრეი ბრომბერგი (მოსკოვი), 17. ალექსანდრე ერმაკოვი (რიგა), 18. ედუარდ ბუჟინსკი (ვილნიუსი).

პირველ ტურში ვერხოვიხმა სძლია მოგილიანსკის, ჩიჟოვ-დრუჟინინის შეხვედრა გადაიდო. დანარჩენი პარტიები, მათ შორის ბერიშვილ-ა. ერმაკოვისა, ყაიმით დამთავრდა.

**ᲐᲠᲢᲣᲠ ᲒᲝᲘᲮᲛᲐᲜᲘ.**

## მწვრთნელთა თათბირი

**ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ** საქართველოს საფეხბურთო პირველობის გათამაშება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო კლუბში 18 თებერვალს მოაწყობენ რესპუბლიკის საფეხბურთო შეჯიბრებებში მონაწილე I და II ჯგუფების გუნდების, აგრეთვე, მსაჯთა გაერთიანებულ რესპუბლიკურ თათბირს.

მწვრთნელებისა და მსაჯთა დასწრება სავალდებულოა. თათბირი დაიწყება 12 საათზე.

### საკავშირო ტურნირი მინიფეხბურთში

## ვინ შეაჩერებს „ხიხანს"?

**ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ** ტურნირის მეოთხე დღეს კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიცია შეჯიბრების ლიდერმა ბათუმის „ხიხანმა", რომელიც, როგორც ჩანს, სერიოზული გადაწყვეტილებით ეწვია თბილისს და აქი უდანაკარგოდაც იბრძვის. სასიხარულოა ის, რომ აჭარელი სპორტსმენებისთვის ეს წარმატება მარტო სურვილსა და ენთუზიაზმს კი არა, ოსტატობას მოაქვს; საქართველოს პირველობის ვერცხლის პრიზიორი ამ შეჯიბრებაზე თანაბარი სიძლიერის ფეხბურთელებისაგან შემდგარი გუნდით წარსდგა და დიდი მონდომებითა და შემართებით იბრძვის.

გუშინწინ ბათუმელებს საკმაოდ ძლიერი მტოქე ჰყავდათ — თბილისის „ვაკე", რომელმაც წინა დღეს მეტად საპატიო გამარჯვება მოიპოვა პირველობის ერთ-ერთ პრეტენდენტ „ვერის" გუნდთან და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვაკელთა კარს იცავს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი დ. გოგია, რომელსაც „ხიხანმა" ნამდვილი გამოცდა მოუწყო. დავითის დიდი გამოცდილება რომ არა (წლების მანძილზე თბილისის „დინამოში" თამაშობდა), ვინ იცის, როგორი შედეგით დამთავრდებოდა ეს მატჩი.

მასპინძელთათვის პირველმა ტაიმმა საკმაოდ კარგად ჩაიარა. მესამე წუთზე (ჩოხელი) ანგარიში გახსნა „ვაკემ", მაგრამ შესვენების შემდეგ ბათუმელები გოგიას კართან „დასახლდნენ". მალე ბომბარდირმა ცანავამ დროზე შენიშნა უკეთეს მდგომარეობაში მყოფი პარტნიორი გუკასოვი და დაუყოვნებლივ გადასცა ბურთი, რასაც ზუსტი დარტყმა მოჰყვა და ანგარიში

იხ. მე-3 გვ.



თამაშობენ „ვერისა" და „არარატის" ფეხბურთელთა გუნდები.

## გულშემატკივრის კუთხე

# ერის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის



**დღეს ავლიპ ზურაბაშვილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. „გულშემატკივრის კუთხეს“ ჯერ არ ჰყოლია უფრო ასაკოვანი, უფრო ცნობილი, უფრო დამსახურებული (ბატონი ავლიპი არის ბეხტერევის და თარხნიშვილის პრემიების ლაურეატი, ლენინის ორდენის ოსბზის, შრომის წითელი დროშის და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერი, არის სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ამასთან, უფრო ხალისიანი, მხიარული, ერთი სიტყვით, უფრო ახალგაზრდა სტუმარი. ერთხელ მის შესახებ ითქვა, „მზიური“ კაციაო. რა ზუსტი ნათქვამია! ავლიპი ზურაბაშვილი მართლაც ასხივებს სითბოს. იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად, მისი სიტყვები კი ფრთიან გამოთქმებად იქცა. ბატონი ავლიპი საყოველთაო სიყვარულით არის გარემოსილი. ეს სიყვარული მან სავსებით დაიმსახურა.**

● **თქვენ ბრძანდებით ავტორი ფრთიანი გამოთქმისა, რომ ადამიანი — ეს არის არა მარტო ჰომო საპიენსი, არამედ ჰომო მორალისი. საინტერესოა თქვენი აზრი, ესმარება თუ არა ადამიანს სპორტი მორალური თვისებების ჩამოყალიბებაში?**

— უსათუოდ! პ. მელიქიშვილი წერდა თავის დროზე, რომ მეცნიერება მოითხოვს კაცისაგან ერთგულებას, პატივისცემას და სიყვარულს. არანაკლებ ერთგულებას, პატივისცემას და სიყვარულს მოითხოვს სპორტი. თანაც, სპორტი ავითარებს ადამიანში ისეთ მნიშვნელოვან გრძნობას, როგორიც არის პატრიოტიზმი. სპორტსმენის გამარჯვება ხშირად მარტო მისი მიღწევა კი არ არის, მარტო იმ სფეროს წარმატება კი არ არის, რომელშიც იგი მოღვაწეობს, არამედ მთელი რესპუბლიკისა, მთელი ქვეყნისა, ამიტომ პიროვნება უნდა იყოს ძლიერი, მორალურად გამძლე. რომ მის წინაშე დასახული ამოცანები შეასრულოს წესიერად, პატრიოტული სულისკვეთებით. სპორტი მოითხოვს აგრეთვე გონივრულ ანალიზს და ყოველივე იმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გონივრულ გადამუშავებას. რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. სპორტსმენს სიბრძნე მოეთხოვება. მარტო ფიზიკური მონაცემები ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. შაგალითად როცა ამბობენ, რომ ახალგაზრდას სპორტული მონაცემები აქვს. პირველ ყოვლისა გულისხმობენ ფიზიკურ მონაცემებს — ჯანმრთელობას, ძალას, სილამაზეს. მაგრამ პიროვნება პირველ ყოვლისა მორალურად სპეტაკი უნდა იყოს, რომ ეს მონაცემები სათანადოდ გამოიყენოს. ამავე დროს, ძლიერ ნატურას შეუძლია დაძლიოს ფიზიკური ნაკლოვანებანი.

სპორტი შესანიშნავი ასპარეზია, სადაც პიროვნებას შეუძლია მთლიანად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. დარწმუნებული ვარ, ადამიანი, რომელიც სპორტულ სარბიელზე დიდ წარმატებას აღწევს, უთუოდ ძლიერი პიროვნებაა. სწორედ ასეთი ძალა გამოავლინეს ქართველმა ფეხბურთელებმა 1981 წელს, და სწორედ პერსონალური სიძლიერე არ ჰყოფნით ბოლო წლებში. არ ჰყოფნით ბუნებით ბოძებული თვისებების სრული მობილიზების უნარი! თქვენ მიამბეთ ახალგაზრდა ფეხბურთელზე, რომელიც მოუნდომებლად, უგულოდ ვარჯიშობდა და თავს იმართლებდა, ჩემგან პელე მაინც არ გამოვაო. ასეთი განწყობილებით მუშაობის დაწყება არ შეიძლება. აუცილებელია საკუთარ თავს მოვთხოვოთ შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა, უნდა გვიყვარდეს საქმე, რომელსაც ვემსახურებით.

● **ჩვენს თაობას ხშირად ადანაშაულებენ საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობის უკმარობაში. ფიქრობენ, როგორც ზოგი ამბობს, რომ დღევანდელ ახალგაზრდობას არ შესწევს უნარი, იბრძოლოს ცხოვრებაში თავისი მიზნის მისაღწევად, ხშირად კი ასეთი მიზანი სულაც არა აქვსო. ტერმინიც კი გამოიგონეს — „ინფანტილიზმი“. რას ფიქრობთ თქვენ ამის შესახებ?**

— არა, მე არ ვეთანხმები ასეთ შეხედულებას! მე არ მომწონს ეს საუბარი ახალგაზრდობის ინფანტილიზმზე. ინფანტილიზმი ფიზიკური ან გონებრივი განუვითარებლობაა, ჩვენს ახალგაზრდობაზე კი ამის თქმა არამც და არამც არ შეიძლება. მართალია, შეიძლება ზოგი რამ ითქვას ზნეობრივი, მორალური ნიშნის ხარვეზებზე. მე ვფიქრობ, ის, რასაც თანამედროვე ახალგაზრდებში ინფანტილიზმს უწოდებენ, მორალური სიძლიერის დასუსტებაა. როგორც მოგახსენეთ, ამ სიძლიერეს აღზრდა, ვარჯიში სჭირდება. სპორტი ამ საქმეში უპირველესი თანაშემწეა.

მე ძალიან ხშირად ვფიქრობ ახალგაზრდებზე. ჩემს ასაკში მთავარი საზრუნავი და საფიქრალი ეს არის — ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მომავალი — ჩვენი ახალგაზრდობა.

● **ამას წინათ თქვენს კლინიკაში მკურნალობდნენ თხუთმეტი წლის ბიჭს, რომლის ფსიქიკაში დარღვევები გამოიწვია... ვიდეოფილმების ხანგრძლივმა ყურებამ. როგორ აფასებთ ვიდეოს როლს ახალგაზრდა თაობის აღზრდაში?**

— ჩემთვის გასაგებია თქვენი შეკითხვა. თქვენ გნებავთ გაარკვიოთ, რას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა ბავშვის აღზრდის პროცესში — სპორტს თუ ვიდეოფილმებს. ცხადია, სპორტს! არა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა გატაცებული უნდა იყოს ხელოვნებით, თეატრით, კინოთი, მაგრამ სპორტული ვარჯიშების შესრულება არა მარტო ფიზიკურად ამაგრებს ადამიანს, არამედ ხელს უწყობს მის გონებრივ განვითარებას და, თუ შეიძლება ითქვას, გონებრივ სიდარბაისლეს. ამასთან, ის მდარე ფილმები, რომლებმაც დღეს რატომღაც პოპულარობა მოიხვეჭეს, არ ღირს იმად, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მათ რაიმე ყურადღებას უთმობდეს. საშინელებაა, ძალადობა — საიდან შემოდის ეს ჩვენთან ან რად გვინდა? ასეთი ფილმები ნერვულ სისტემას ძაბავს და ხანდახან ავადმყოფურ რეაქციასაც კი იწვევს. ასეთი ფილმები ძირს უთხრიან სწორ დამოკიდებულებას ბევრი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული საკითხის მიმართ, ისინი ხელს უშლიან მომავალი თაობის სწორად აღზრდას.

როდესაც პიროვნებაზე ანუ ადამიანის პერსონოლოგიურ შინაარსზე გვაქვს ლაპარაკი, უნდა გამოვყოთ შემდეგი ნიშნები: შრომა, ნდობა, მოვალეობა, სინდისი, ზრუნვა სხვაზე და, რაც უპირველესია — სიყვარული. დიახ, სიყვარული ყველაზე დიდი პიროვნული თვისებაა ადამიანისა. სწორედ ამ თვისებების აღზრდას უწყობს ხელს სპორტი, ანტიჰუმანური და ანტიმორალური ვიდეოფილმები კი ჩრდილს აყენებენ, აუფასურებენ და აჩლუნგებენ მაღალ გრძნობებს, თვით სიყვარულსაც კი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ყველაზე დიდ ემოციად სიყვარულის ემოცია მიმაჩნია, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. სიყვარულის ემოცია ის როდია, ახალგაზრდა ვაჟი გოგოს ქუჩოში რომ ჩაავლებს ხელს და ასე დადიან ქუჩა-ქუჩა, ან დღეს, ვთქვათ, დაქორწინდებიან და ხვალ უკვე თავს ანებებენ ერთმანეთს. სიყვარული წმინდაა და მას წმინდა მოპყრობა, წმინდა განცდა სჭირდება. ახალგაზრდობას უნდა განვუმტკიცოთ სიყვარულის სისპეტაკის, ზნეობრივი სიფაქიზის აუცილებლობის შეგნება. ამისთვის პირველ ყოვლისა საჭიროა მაგალითი, ვიდეოფილმებში კი ასეთ მაგალითებს ვერ ნახავთ. კიდევ რას შემეკითხებით?

● **თქვენ 65 წელი შესწირეთ მედიცინას. ამიტომ თქვენზე უკეთ ალბათ ვერავინ მიპასუხებს ამ კითხვაზე: რა უწყობს ხელს ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის განვითარებას?**

— 1926 წელს თბილისში მედიცინის მუშაკთა პირველი ყრილობა ჩატარდა. იგი მაშინდელ „შრომის სასახლეში“ გაიმართა, იქ, სადაც ახლა სასტუმრო „თბილისია“. მონაწილეობდა 100-150 კაცი. მედიცინის ფაკულტეტი მაშინ თბილისის უნივერსიტეტში იყო. უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ექიმებს მიმართა თხოვნით განეხილათ ალკოჰოლიზმის საკითხი — დღეს, მართალია, ასეთი რამ არ გვხვდება, მაგრამ პროფილაქტიკა მაინც არ უნდა დავივიწყოთ. ეს საქმე მე მომანდეს. ყველა საავადმყოფო ჩამოვიარე და ძლივს ვიპოვე 4-5 ქრონიკული ალკოჰოლიკის ავადმყოფობის ისტორია (თეთრი ცხელებით იყვნენ დაავადებულნი). რაც შეეხება ნარკომანიას, რესპუბლიკაში ერთადერთი შემთხვევა იყო აღრიცხული! მას შემდეგ ამ პრობლემებთან თითქმის აღარ მქონია საქმე, მაგრამ უკანასკნელ წლებში მდგომარეობა ისე გამწვავდა, მეც დავინტერესდი, ისევე როგორც ჩემი კოლეგები. განსაკუთრებით საწყენია, რომ ალკოჰოლიზმის შემთხვევებს ქალებშიც ვხვდებით. როდის იყო, რომ ქართველი კაცი ლოთობდა? როდის იყო, რომ ქართველი მანდილოსანი უზომო სმით იწონებდა თავს? შეიძლება მითხრან, ევროპაში განა ასე არ არისო? შეიძლება, მაგრამ მე, ამჯერად ის უფრო მაინტერესებს, რომ ჩვენში არ იყოს ასე. ალკოჰოლიზმი ზნეობრივი დაცემაა, ხოლო ზნეობის დაცემა მეტად ძნელი და სავალალოა. იაკობ გოგებაშვილი ამბობდა, ამორალიზმის, ე. ი. უზნეობის მიკრობი ყველაზე ცუდია, უფრო ცუდი და საშიში, ვიდრე შავი ჭირი, ვიდრე ქოლერა. დიდი ილია წერს — სატკივარით — „საზოგადოებრივი სატკივარი“. დღეს ჩვენთვის, სახელმწიფოებრივი თვალთახედვით რომ მივუდგეთ, ლოთობა და ნარკომანია უეჭველად დიდი სატკივარია.

რა არის ძირითადი მიზეზი ლოთობისა და ნარკომანიისა? ეს არის ჰედონიზმი — სიამოვნების პრინციპი. ადამიანი სიამოვნების პრინციპით არ უნდა ცხოვრობდეს. ბევრი ჩვენი ახალგაზრდა ყველაფრით უზრუნველყოფილია. არაფერი არ აკლიათ, მანქანაც კი. მაგრამ ახლა რაღაც სხვა გასართობსა და სიამოვნებას ეძებენ. ამიტომ ეტანებიან ალკოჰოლს, მერე ნარკოტიკებსაც გაუსინჯავენ გემოს. ამასთან ეს ყველაფერი სწორედ ახალგაზრდულ ასაკში ხდება. თანაც ყველაფერი თამბაქოთი იწყება. ახლა ახალგაზრდები არათუ ინსტიტუტებში, სკოლებშიც კი ეწევიან. თამბაქო — ალკოჰოლი — ნარკოტიკი — ერთი რიგის მოვლენებია. მათ წინააღმდეგ ბრძოლა ახალგაზრდობიდანვე უნდა დავიწყოთ. ავუკრძალოთ სიგარეტის წევა სტუდენტებს!

ხოლო ამ საქმეში ჩვენი მთავარი დამხმარე და თანაშემწე ფიზკულტურა იქნება. დღეს ფიზკულტურა გვჭირდება არა მარტო ჯანმრთელობისათვის, არამედ ერის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, მორალური ძალის განმტკიცებისთვის. დიდი რუსი მწერალი ჩეხოვი ამბობდა, რომ მორალური სიფაქიზის შესუსტება დიდი უბედურებაა, რადგან ამას მოსდევს ადამიანის გაველურება — გაველურება არა ტყეში, არამედ თავისივე საზოგადოებაშიო.

● **ბატონო ავლიპ, გვაპატიეთ, რომ ამდენი დრო წაგართვით. დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ საუბრისთვის. გილოცავთ დაბადების 85 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას.**

— მეც მინდა ვუსურვო დიდი გამარჯვებები ყველას, ვინც თავისი ცხოვრება და საქმიანობა სპორტს დაუკავშირა.

**ბეჲი ბოჭორიშვილი.**

# სამეული ახალი პარტნიორით



აკაკი საბაშვილი. თამაზ მღებრიშვილი, თამაზ ბუზიაშვილი, როინ სომხიშვილი.

**ამიერკავკასიის** რესპუბლიკების აკრობატთა სამატჩო შეხვედრა, რომელიც [illegible] წინათ თბილისის „შრომითი რეზერვების“ სპორტულ კომპლექსში უნდა გამართულიყო, არ შედგა იმის გამო, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები არ ჩამოვიდნენ. ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებთა შეჯიბრება-დათვალიერება მოეწყოთ. ჩვენი გუნდების ხელმძღვანელებს საშუალება მიეცათ წარმოდგენა შექმნოდათ როგორც ჩვენი წამყვანი აკრობატების, ისე მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სპორტულ მომზადებაზე. შეჯიბრება იმიტომაც იყო საინტერესო, რომ ამჯერად საბჭოთა კავშირის ჩემპიონების ნატალია ანისიმოვასი და ინგა გიორგობიანის პარტნიორი იყო ტალინელი სვეტლანა მაკარიჩევა.

**მწვრთნელი ვლადიმერ გურგენიძე:** — სამეულის წევრმა მარინე შალაშვილმა წონაში და სიმაღლეში მოიმატა, რის გამოც იგი მოსწავლეთა ტრიოს შუა წევრად დავაყენეთ. მის ადგილზე ტალინიდან მოვიწვიეთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 14 წლის სვეტლანა მაკარიჩევა. ადრე იგი საკავშირო ნაკრების წევრი იყო სპორტულ ტანვარჯიშში. ახლა თბილისში გადმოვიდა, იმედი გვაქვს, ღირსეულ პარტნიორობას გაუწევს ანისიმოვასა და გიორგობიანს.

● **მარტში ერევანში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩატარდება. მოასწრებს სამეული ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე გამოსასვლელად მომზადებას?**

— ამ შეჯიბრებაში საპრიზო ადგილს ვუმიზნებთ. ამიტომ საგანგებოდ გართულებული პროგრამით ვემზადებით.

კარგა ხნის შესვენების შემდეგ სარბიელზე კვლავ ვიხილეთ ალექსანდრე მავრანგელოვის ოთხეული. მისმა ერთ-ერთმა წევრმა. გოგორიშვილმა, რომელიც ტრავმის გამო მწყობრიდან იყო გამოსული, კვლავ თავისი ადგილი დაიკავა ჯგუფში. შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონებს ვახტანგ ბოტკოველს, ოლეგ სლივკოვს, გია ალაპიშვილს და გოდერძი ახობაძეს.

ძალისმიერ წყვილთა შორის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები იოსებ თუთბერიძე — მალხაზ ბერემერაშვილი სპორტს ჩამოშორდნენ. მათი ადგილი რუსთაველთა დავით სამუნაშვილ — ალექსანდრე ტოლენჯაშვილის წყვილმა დაიკავა. შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში ნაკრების პირველი ნომრები კარინა სარქისიანი და ჰამლეტ ღარიბოვი არ გამოსულან. ასე რომ, ირინა ოვოიან — კახა კუხალეიშვილს კონკურენტი არა ჰყოლია. თბილისში ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდნენ ბათუმლები მზია კოსტავა და ნატალია ვეტოშკინა. სახტომ ბილიკზე მხოლოდ პირველ დღეს გამოვიდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ფატი სულაქველიძე და გია მარმარაშვილი. ჯერჯერობით ისინი ფორმაში არ არიან.

მოსწავლეთა გუნდში პერსპექტიულმა აკრობატმა ზ[illegible]რეზა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თამაზ ბუზიაშვილისა და ალექსანდრე მავრანგელოვის (ოთხეულები), ჯუმბერ ლაშხისა და ალექსანდრე თედეევის (მხტომელები) შეგირდებმა. მომავალში ალბათ თავის სიტყვას იტყვის გია კაკაშვილის სამეულიც. საიმედოდ გამოიყურება ბათუმელი მწვრთნელის ანატოლი ჯიჯავაძის ძალისმიერი წყვილი. ერთი სიტყვით, ჩვენს აკრობატებს საიმედო ცვლა ეზრდება.



ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი, სვეტლანა მაკარიჩევა.

ჩვენ ამჯერად შეგნებულად არ დავასახელეთ გამარჯვებულები, რადგან ამ შეჯიბრების მიზანი უფრო ჩვენი სპორტსმენების მზადყოფნის შემოწმება იყო. ვფიქრობთ, მზადება სეზონის მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის ამ ეტაპზე გეგმაზომიერად მიმდინარეობს.

**ჯემალ კახრაძე.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

**„1987 წლის 8 თებერვალს „ლელოში“ გამოქვეყნდა კრიტიკული შენიშვნები, რომელიც ეხებოდა თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების ზოგიერთ ხარვეზს. სპორტის სასახლის დირექციის მიმართ გამოთქმული კრიტიკა სამართლიანია. ამიერიდან სარეკლამო აფიშები დამზადდება მაღალ მხატვრულ დონეზე. შეკვეთილი გვაქვს ახალი სარეკლამო სტენდები. ამასთან ყოველ დღეს ვიხმართ, რათა არენაზე იყოს სრული წესრიგი“.**

**გიორგი შარაშიძე,**
**თბილისის სპორტის სასახლის დირექტორი.**

## უპასუხოდ, შეგახსენებთ!

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 7 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას თბილისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვანო სამუშიასადმი მიმართული ღია წერილი. წერილში ნათქვამი იყო, რომ სოფელში, სადაც 5000-მდე მცხოვრებია, უყურადღებოდაა მიტოვებული ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა. სპორტული ბაზები მოუვლელობით გავერანდა. ეკონომიკურად ღონიერ კოლმეურნეობას განა რა გაუჭირდა ასეთი? ამ და სხვა კითხვებზე რედაქციას დღემდე არ მიუღია პასუხი.

**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში**

# ოთხნი კვარცხლბეკზე

დასასრული

ტების პრიზიორი, მოგებული აქვს მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირი. შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში მან ორი ოქროს მედალი მოიპოვა — მძიმე და აბსოლუტურ წონებში. ცხადია, ვერიჩევს ამ ჩემპიონატშიც გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ...



ლერი ნაკანი.

ვიდრე კიბორძალიძე-ვერიჩევის ფინალურ ორთაბრძოლაზე ვიტყოდეთ, ქვემძიმე წონას გადავხედოთ. აქ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა 5 მოჭიდავე გამოიყვანეს — კობა კურტანიძე, გიორგი მუმლაძე, გელა ბერუაშვილი, შერმადინ მიქელთაძე და ალექსი ხაჩიძე. ამ ხუთეულში კურტანიძე ყველაზე გამოცდილი და სახელოვანია. კობამ ფინალამდე ოთხი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან — კაუნასელი გინტარას მასკოლუნასი, გროდნოელი ევგენი დოლინინი, უფელი ელდარ ხასნუტდინოვი და ბრიანსკელი ვალერი დივისენკო. კარგად იჭიდავა ახალგაზრდა რუსთაველმა ფალავანმა გიორგი მუმლაძემაც, რომელმაც რამდენიმე გამოცდილი მეტოქე დაამარცხა და საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. ბერუაშვილი, მიქელთაძე და ხაჩიძე პირველსავე წრეში გამოეთიშნენ ასპარეზობას.

მოჭიდავეთა შეჯიბრების გვირგვინი, რა თქმა უნდა, ფინალური შეხვედრებია. პირველად კიბორძალიძემ და ვერიჩევმა გაარკვიეს ურთიერთობა. ქუთაისელმა ფალავანმა პირველსავე წუთზე იუკო აართვა მოწინააღმდეგეს, მერეც გაცილებით აქტიური იყო და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ერთადერთმა ილეთმა გადაწყვიტა კობა კურტანიძისა და კაუნასელი რომას პაჩინსკასის ფინალური შეხვედრის ბედიც. კურტანიძემ კოკა დაიმსახურა და ეს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვია.

ლენინგრადის ტატამი იღბლიანი გამოდგა ქართველი ძიუდოისტებისათვის. აკაკი კიბორძალიძე: „ვერიჩევს აქამდე ორჯერ შევხვდი და ორივეჯერ დავამარცხე. მესამე ცდაც იღბლიანი გამოდგა. წაგების უფლება არც მქონდა, დღეს ხომ ჩემი მწვრთნელის ომარ მერაბიშვილის დაბადების დღეა. ვიდრე ხალიჩაზე გავიდოდი, მითხრა, ოქროს მედალი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იქნებაო“.

ახლა მეორე დღის შეხვედრებზე გიამბობთ. ამ დღეს მედლებისთვის იბრძოდნენ 78 და 86 კგ წონითი კატეგორიების მოჭიდავეები.

78 კგ წონაში გამოკვეთილი ლიდერი იყო გროზნოელი ბაშირ ვარაევი. ეს სპორტსმენი კარგა ხანია სტაბილურად გამოდის საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. შარშან მან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში შოთა ხაბარელი დაამარცხა და ჩემპიონი გახდა (ხაბარელი წლევანდელ ჩემპიონატში არ გამოსულა, იგი აქტიურ სპორტს გამოეთხოვა). გროზნოელმა ძიუდოისტმა ლენინგრადის ტატამზეც გამოიჩინა თავი. ქვეჯგუფში მას ვერავინ გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა: 4 შეხვედრა — ოთხი წმინდა გამარჯვება! ამავე ქვეჯგუფში გამოდიოდა გორელი ენგურ გოგიჩაშვილი, რომელმაც პირველ წრეში ვადაზე ადრე მოუგო ლენინგრადელ ვლადიმერ გლადჩენკოს, მაგრამ შემდეგ მოსკოველ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან უმარ მარაევთან დამარცხდა და ბრძოლას გამოეთიშა. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ მეორე ქვეჯგუფიდან ფინალში ლერი ნაკანი გავიდოდა. გამოცდილება და სახელი არც მესტიელ ფალავანს აკლია. ნაკანი უკვე იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1985 წელს), მაგრამ მაშინ 71 კგ წონაში გამოდიოდა...

ჩვენმა ძიუდოისტმა კარგად იჭიდავა წინასწარ შეხვედრებში: პირველ წრეში წმინდად დაამარცხა დივნოგორსკელი ალექსანდრ რადივილოვი, შემდეგ იუკოთი მოუგო ალმაათელ ალექსანდრ ამიროვსა და სირდარიელ ანდრეი კლოიანს. ნახევარფინალში ნაკანის მეტოქე იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი, მოსკოველი ალექსანდრ კუხარენკო. ლერიმ ეს შეხვედრაც წმინდად მოიგო და ფინალში გავიდა. ვარაევისა და ნაკანის ფინალურ ბრძოლაში გროზნოელ სპორტსმენს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა და გამარჯვებაც მას დარჩა. ნაკანს ვერცხლის მედალი გადაეცა.

საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი მედალი შესძინა თბილისელმა ანზორ თენაძემ (86 კგ). მის წონაშიც სახელოვანი სპორტსმენები შეიკრიბნენ: ევროპის სამგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის შარშანდელ პირველობაში გამარჯვებული მინსკელი ვიტალი პესნიაკი, მსოფლიო თასის მფლობელები, კრასნოიარსკელი ვიქტორ პოდუბნი და კურსკელი ალექსანდრ სივცევი. თენაძემ მეორე წრეში სწორედ სივცევი დაამარცხა, მანამდე კი წმინდად მოუგო მოლდაველ იგორ მარკიტანცს. ნახევარფინალში თენაძე ქულებით დამარცხდა მაიკოპელ მაჰომედ ტიულპაროვთან, მესამე ადგილისთვის



ანზორ თენაძე.

ბრძოლაში კი აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა და პირველად გახდა საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი. ამავე წონაში თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ჯემალ მჭედლიშვილმა სამი წრე გაიარა. სტარტზე მან წმინდად მოუგო მაიკოპელ ვალერი იუხანოვს, ვაზარით — ხარკოველ ვლადიმერ სუკაჩს, მაგრამ შემდეგ ვიტალი პესნიაკთან დამარცხდა. მომდევნო წრეში პესნიაკსაც მოეცარა ხელი. მას ორ წუთში იპონით მოუგო პოდუბნიმ. სხვათა შორის, პოდუბნიმ ამ ჩემპიონატზე ხუთივე შეხვედრაში ვადაზე ადრე გაიმარჯვა და ოქროს მედალი მოიპოვა.

**2/3** კვარცხლბეკი

**95 კგ.** 1. კობა კურტანიძე (გორი), 2. რომას პაჩინსკასი (კაუნასი), 3. ევგენი დოლინინი (გროდნო) და დიმიტრი სოლოვიოვი (ჩირჩიკი).

**+ 95 კგ.** 1. აკაკი კიბორძალიძე (ქუთაისი), 2. გრიგორი ვერიჩევი (ჩელიაბინსკი), 3. ხაბილ ბიქთაშევი (კუიბიშევი) და იანის დარზნიექსი (რიგა).

**78 კგ.** 1. ბაშირ ვარაევი (გროზნო); 2. ლერი ნაკანი (მესტია); 3. ვიტალი ბუდიუკინი (მოსკოვი) და ვადიმ კაძაევი (პოლტავა).

**86 კგ.** 1. ვიქტორ პოდუბნი (კრასნოიარსკი); 2. მაჰომედ ტიულპაროვი (მაიკოპი); 3. ანზორ თენაძე (თბილისი) და ალექსანდრ სივცევი (კურსკი).

**გუშინ 65 კგ წონის ათლეტთა შორის ვერცხლის მედალი მოიპოვა მესტიელმა ვახტანგ ჯაფარიძემ, 71 კგ წონაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა თბილისელი ბათო ჯიქური.**

# „მეზობელო, ქარისამ[illegible]“

**ჯერ** კიდევ გუშინდელი საფეხბურთო მატჩის წინა დღეებში „ლელოში“ ბაქოს თითქმის ყველა გაზეთის რედაქციიდან გვირეკავდნენ კოლეგები. აზერბაიჯანის დედაქალაქში ყველაფერი აინტერესებდათ ამ შეხვედრის თაობაზე და ჩვენც, ბუნებრივია, ვცდილობდით მაქსიმალურად დაგვეკმაყოფილებინა მეზობლების ცნობისმოყვარეობა. ერთი ნიშანდობლივი ამბავი: ყველა საუბარი, როგორც წესი, ერთი და იგივე შეკითხვით მთავრდებოდა — რომელ ანგარიშზე უნდა გადაირიცხოს თანხა დასავლეთ საქართველოში სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ფონდში. ამ ანგარიშის ნომრით—700 — ახლა მთელს საბჭოთა კავშირში არიან დაინტერესებული. ჩვენი ტრაგედია, უდიდესი გულისტკივილი მრავალმილიონიანი საბჭოთა ქვეყნის ყველა მცხოვრებმა გაიზიარა.

სხვებს, როგორც ეს ღირსეულ მამულიშვილებს ეკადრებათ, არც სპორტსმენები ჩამორჩნენ. ამ თვალსაზრისით თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივის ინიციატივაში — თავისი წვლილი შეეტანათ საერთო საქმეში და შეძლებისდაგვარი დახმარება გაეწიათ დაზარალებულთა ოჯახებისთვის, თავისთავად მოულოდნელი არაფერია, მაგრამ მისასალმებელია ის, რომ დინამოელები არ დასჯერდნენ მე-700 ანგარიშზე თავიანთი ხელფასის ნაწილის გადარიცხვას, მათ სურვილი გამოთქვეს ჩაეტარებინათ საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი, რომლის შემოსავალიც მთლიანად გადაირიცხებოდა დახმარების ფონდში.

ჩვენი ფეხბურთელების ამ კეთილშობილურ ინიციატივას უმალვე დაუჭირეს მხარი „ნეფთჩის“ ფეხბურთელებმა.

აი, რა გვითხრა ბაქოელთა გუნდის კაპიტანმა იაშარ ვახაბზადემ: „საქართველოში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ ჩვენი გუნდის ყველა წევრი აღელვა. გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს კი, მით უმეტეს თუ იგი კეთილი მეზობელია. ყოველთვის ჭირდება თანაგრძნობა და გვერდში ამოდგომა, ჩვენ ძალიან გაგვიხარდა, როცა საშუალება მოგვეცა მონაწილეობა მიგველო ამ საქველმოქმედო მატჩში, მცირე, მაგრამ პრაქტიკული დახმარება გაგვეწია დაზარალებულთა ოჯახებისთვის. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ჩვენი ქართველი კოლეგების, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისადმი“.

მაშ ასე, შეხვედრა, რომელიც სხვა დროს რიგითი საკონტროლო თამაშის ფარგლებს არ გასცდებოდა, ჭეშმარიტი ძმობისა და მეგობრული სოლიდარობის დემონსტრაციად გადაიქცა.

ფეხბურთელები ნამდვილი სპორტული ჟინით, მონდომებით იბრძოდნენ, მართალია გამარჯვება ასეთ შეხვედრებში თვითმიზანი არ არის, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე სამიოდე კვირით ადრე გუნდებმა უნდა აჩვენონ იმის ნაწილი მაინც, რასაც ისინი მომავალ ტურნირში შემოგვთავაზებენ.

თბილისელებს უკვე მე-7 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ გურულმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი. მეორე ნახევარში მან მაინც მიაღწია მიზანს! კორღალიძის მიერ საჯარიმო დარტყმიდან ჩამოწოდებულ ბურთს პირველმა მიუსწრო და თავით გაგზავნა მეტოქის კარის ბადეში — 1:0. ეს ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **„დინამო“** — გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, მალანია, თევზაძე (ჩელებაძე, 46), სვანაძე, სულაქველიძე, კორღალიძე, გურული, ბიგვავა; **„ნეფთჩი“**—ჟიდკოვი, გარიბოვი, პივცოვი, გოსტენინი (ტალიბოვი, 46), ფედოროვსკი (აზიმოვი, 9), პროკოპენკო, მირზოევი, ვახაბზადე, ჰუსეინოვი, ალაჰვერდიევი, სულეიმანოვი (ალიკბეროვი, 86). თამაში იმსაჯა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ვალოდი მიმინოშვილმა.

**ზურაბ ფოცხვერია.**

**ძმა ძმისთვის...**

# გუშინ რედაქციაში შეგვატყობინეს

● **ჭადრაკში** ვაჟთა შორის მსოფლიოს ექსჩემპიონმა, სსრ კავშირის მშვიდობის ფონდის კომიტეტის თავმჯდომარემ ანატოლი კარპოვმა გუშინ ბრიუსელში ფიდეს კონგრესში მონაწილეობის მისაღებად გამგზავრების წინ 500 მანეთი ჩარიცხა საქართველოში სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ფონდში. ამასთან იგი გულითად თანაგრძნობას უცხადებს ყველას, ვისაც ბუნების მძვინვარებამ ესოდენ დიდი ზიანი მიაყენა.

● **დიდოსტატმა** თამაზ გიორგაძემ, რომელიც, როგორც ცნობილია, ესპანეთის ვაჟ მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელადაა მიწვეული, 500 მანეთი შეიტანა უსახლკაროდ დარჩენილი დასავლეთ საქართველოს რაიონების მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

● **საქართველოს** სპორტსახკომის კოლექტივმა 2 დღის ხელფასი (3200 მანეთი) გადარიცხა № 700 ანგარიშზე. თბილისის სპორტკომიტეტმა დახმარების ფონდში შეიტანა ხელფასის 3 პროცენტი.

● **თბილისის** სახალხო განათლების ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპორტსკოლის თანამშრომლებმა თითო დღის ხელფასი გაიღეს, ამასთან მამაკაცები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ აღდგენით სამუშაოებში.

● **ქუთაისის** „მშენებლის“ რეგბისტებმა 300 მანეთი გადარიცხეს დაზარალებულთა დასახმარებლად. სსრ კავშირის ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატზე ლენინგრადში გამგზავრების წინ აკაკი კიბორძალიძემ 170 მანეთი შეიტანა № 700 ანგარიშზე.

● სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის თანამშრომლებმა სტიქიით დაზარალებულ რაიონების მოსახლეობს დახმარების ფონდში გადარიცხეს 2100 მანეთი. წლის ბოლომდე ყველა თანამშრომელი ყოველთვიურად თითო დღის ხელფასს ჩარიცხავს № 700 ანგარიშზე.

# არქიტექტორთა საერთაშორისო სპორტული კლუბი: არქიტექტურა და სპორტი

დასასრული

წმობს ის, რომ სამი წლის წინათ თუ მისი წევრები იყვნენ ხუთი ქვეყნის არქიტექტორები, ახლა ამ ქვეყნების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. კლუბის ნაყოფიერ საქმიანობას ხელს შეუწყობს არქიტექტორთა საერთაშორისო სპორტულ კლუბსა და არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირს შორის ახლახან დადებული ხელშეკრულება. ხელი მოაწერეს, აგრეთვე შეთანხმებას კლუბისა და იტალიის ფირმა „იტალტრეიდის“ თანამშრომლობის შესახებ.

ბაკურიანში გამოცხადდება ბაკურიანის ყინულის სასახლის, ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე, ბაიკალის ტბის მახლობლად გამაჯანსაღებელი ცენტრის პროექტების, აგრეთვე გამოფენილთა მოწყობილობის დიზაინის კონკურსები. ეს უკანასკნელი კონკურსი გამოცხადდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასთან ერთად.

სხვადასხვა ქვეყნების არქიტექტორებმა შესთავაზეს შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტს განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ უსასყიდლოდ გადასცენ საქართველოში სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეულ ნაგებობათა აღდგენის პროექტები.

ბაკურიანში ყველაფერი მზად არის სტუმრების მისაღებად, რესპუბლიკის მრავალმა ორგანიზაციამ, უწინარეს ყოვლისა, სახაგრომრეწვმა, საქკურორტმა, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის სამინისტროებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ დაამახსოვრდეთ საქართველოში ყოფნა შეხვედრის მონაწილეებს. ისინი იასპარეზებენ სამთო-სათხილამურო სპორტის კომპლექსური პროგრამის მიხედვით, შეხვდებიან საქართველოს ხელოვნების მოღვაწეებს, ნახავენ ქართულ კინოფილმებს, გაიმართება პერსონალური გამოფენები.

ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. მგალობლიშვილმა, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარმა რედაქტორმა ნ. გურაბანიძემ (საქინფორმი).

# ყველა ხარისხის მედალი

საქართველოს „შრომითი რეზერვების“ მოჭიდავეები ამ ბოლო დროს წარმატებით გვახარებენ, ახლახან კიშინიოვიდან ასეთი ცნობა მივიღეთ. აქ გამართულ „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, რომელშიც 1967-68 წლებში დაბადებული კლასიკური სტილის მოჭიდავეები გამოდიოდნენ, კარგად იასპარეზეს თბილისელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც ერთი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს.

თავი ისახელა მძიმე წონის მოჭიდავემ ზაურ ცხადაძემ, რომელმაც გამარჯვება არავის დაუთმო. მისმა თანაგუნდელებმა თამაზ აზარაშვილმა (57 კგ) და ნაიბი დვალიძემ (90) მეორე ადგილები დაიკავეს, მამუკა ბაბლუანმა (52) — მესამე.

ჩვენი გუნდი ამ შეჯიბრებისთვის მოამზადა „შრომითი რეზერვების“ უფროსმა მწვრთნელმა ამირან აფრიამაშვილმა.

# ვინ შეაჩერებს „ხიხანს“?

(დასასრული)

გათანაბრდა. გადამწყვეტი ბურთი კი ქაცარავამ გაიტანა — 2:1 „ხიხანის“ სასარგებლოდ.

ხშირად გუნდის სისუსტე მეტოქის, თუნდაც გაცილებით ძლიერის, ყურადღების მოდუნებას იწვევს. ამაში კიდევ ერთხელ „ვერისა“ და „არარატის“ შეხვედრებმა დაგვარწმუნა, ერევნელებმა ჯერჯერობით ვერაფრით გამოიჩინეს თავი. ალბათ ამიტომაც, თბილისელებმა „სხვათა შორის“ დაიწყეს თამაში, რისთვისაც დაისაჯნენ — პირველსავე წუთებზე აზნაურიანმა აიღო ზარიძის კარი და პირველი ტაიმი ერევნელთა სასარგებლოდ დამთავრდა, შეხვედრის მეორე ნახევარში გაგუამ გაიტანა ბურთი, შემდეგ გომართელმა სოლო-გასვლით 2-მდე გაზარდა ანგარიში. ამით „ვერამ“ თითქოს ვალი მოიხადა და ინიციატივა დათმო. ბრძოლას წერტილი ჩვენმა მეკარემ დაუსვა — ბურთი თავისიანის ნაცვლად, ერევნელ მკრტჩიანს მიუგორა და მანაც დაუყოვნებლივ კარში გაგზავნა იგი — 2:2.

ბათუმის „ხიხანი“ ინარჩუნებს ერთპიროვნულ ლიდერობას.

გუშინ გაიმართა ტურნირის ბოლოსწინა დღის მატჩები: „ბაკინეცი“ — „არარატი“ — 1:2, „ვაკე“ — „დაუგავა“ 6:1, „ვერა“ — „ხიხანი“ — 7:4.

დღეს დასკვნითი შეხვედრები გაიმართება: მატჩი V-VI ადგილებისათვის (14.30 ს.), შემდეგ გათამაშდება III-IV ადგილები (15.30 ს.), 17 საათზე კი ფინალური შეხვედრა შედგება.

**უშანგ უნგიაძე.**

# ორ ტრამპლინზე

**ამას წინათ** ბაკურიანში კიდევ ერთი საინტერესო შეჯიბრება გაიმართა ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში — საქართველოს ჩემპიონატი და ჭაბუკთა პირველობა.

70-მეტრიან ტრამპლინზე მოზრდილთა შორის წარმატებას მიაღწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, წალვერელმა სპორტის ოსტატმა ელგუჯა ორჯონიკიძემ. იგი 83,5 და 82,5 მეტრზე გადახტა და 208,5 ქულით რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა ოსტატობის კანდიდატი იბრაგიმ გობოზოვი— 148,2 (71 და 69,5), მესამეზე — სპორტის ოსტატი გიორგი დიაკონაშვილი — 146 (67,5 და 70).

ჭაბუკთა შორის (1969 წელსა და უფრო გვიან დაბადებულნი), რომლებიც 40-მეტრიან ტრამპლინზე გამოდიოდნენ, უძლიერესი იყო ბაკურიანელი პირველთანრიგოსანი დავით ჯანგობეკოვი („დინამო“) — 184,7 (48 და 49).

**„ლელოს“ კორ.**

კომპოზიციის კუთხე ≈≈≈ ხელმძღვანელობს ვაჟა ნეიძე

# ეტიუდის კორიფე

**კომპოზიციის** მოყვარული თემურ მეტრეველი (რუსთავი) გვწერს: „მსმენია კომპოზიტორ რინკის შესახებ. ძალიან გთხოვთ, მოგვითხროთ მასზე“.

საეტიუდო ხელოვნების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი ანრი რინკი 1870 წელს საფრანგეთში დაიბადა. წარმოშობით ელზასელი, ლიონში იზრდებოდა. პროფესიით ქიმიკოსი იყო. შემდეგ დიდხანს ესპანეთში ცხოვრობდა (იგი 82 წლის გარდაიცვალა). ჯერ ბარსელონაში მუშაობდა, შემდეგ კი მის მახლობლად მდებარე პატარა სამრეწველო ქალაქ ბადალონაში გადავიდა და სამუდამოდ იქ დარჩა. ჰყავდა ცოლი და ვაჟიშვილი. ხშირად ჩადიოდა მშობლიურ ლიონში, სადაც ძმა უძღვებოდა მასთან ერთად გახსნილ ფეშენებელურ კაფეს. ზაფხულს რინკი ჩვეულებრივ საფრანგეთის რივიერაზე, თავის ვილაში ატარებდა.

ჭადრაკში ჯერ პრაქტიკული თამაშით იყო გატაცებული — ლიონის ჩემპიონმა წარმატებას მიაღწია მიმოწერით თამაშშიც, კომპოზიციამ კი მოგვიანებით გაიტაცა. ეტიუდების გამოქვეყნება 1901 წლიდან დაიწყო ევროპის საჭადრაკო ჟურნალებში და მალე კომბინაციური სტილის ნაწარმოებებით, მახვილგონივრული ამოხსნებით ყურადღებაც მიიქცია.

ა. რინკი, 1906



მოგება

ლაზიერების ენდშპილი საკმაოდ რთულ და მშრალ თამაშს გვპირდება, მაგრამ ეს ერთი შეხედვით... 1. ლb1 (მუქარით 2. ლb5+ მფd4 3. ლd5×) მფd4 2. ლb3 ლ:e4+ 3. მფd6 ლa8 (ლაზიერს დიდი დიაგონალის დათმობა არ შეუძლია, ხოლო თუ 3. ...ლh1, მაშინ 4. ლc3+ მფe4 5. ლc6+) 4. ლe3+ მფc4 5. ლc3+ მფb5 6. ლb3+ მფa6 7. ლa4+ მფb7 8. ლb5+ მფc8 (8. ...მფa7 9. მფc7) 9. ლd7+ მფb8 10. ლc7×. შთამბეჭდავი ფინალია. იგი ორივე ლაზიერის აქტიური მონაწილეობით შეიქმნა.

შემდგომ წლებში რინკის შემოქმედებაში თავი იჩინა სხვადასხვა საენდშპილო მასალაზე შექმნილმა ნაწარმოებებმა. მისი სახელი განსაკუთრებით პოპულარული გახდა პირველი კრებულის (150 ეტიუდი, 1907 წ.) გამოსვლის შემდეგ. მან კიდევ რამდენიმე კრებული გამოსცა, მათ შორის უკანასკნელი („1414 ეტიუდი“) 1952 წლის თებერვალში, გარდაცვალებიდან 6 დღით ადრე. არც ერთ ავტორს კომპოზიციის ისტორიაში ასეთი დიდი კრებული არ შეუქმნია. ეს არის უაღრესად დახვეწილი შინაარსის და მეტად მრავალფეროვანი მასალისაგან შექმნილი კომპოზიციების კოლექცია, რომელიც სრულად წარმოგვიდგენს დიდი ეტიუდისტის შემოქმედებით მემკვიდრეობას. რინკის, მისივე ანდერძის თანახმად, ამ უნიკალური გამოცემის პირველი ეგზემპლარი სამარეში ჩაატანეს.

რინკისათვის კომპოზიცია გატაცება არ ყოფილა. იგი მისი მეორე უსაყვარლესი პროფესია იყო, რომელსაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მიუძღვნა. იგი მიზანდასახულად და დიდი პასუხისმგებლობით მუშაობდა ნაწარმოების შედგენაზე, ამიტომ მის ეტიუდებში დეფექტების რაოდენობა მცირეა, ხოლო ერთნაირ მასალაზე შექმნილი კომპოზიციები დიდ სერიებად არის წარმოდგენილი. მის შემოქმედებით ბიოგრაფიას წითელ ზოლად გასდევს მხატვრული ეტიუდის შემქმნელ ალექსი ტროიცკისთან დაუსწრებელი პაექრობა. მათი განსხვავებული სტილი, დიდი შემოქმედებითი პოტენცია და მიღწევები, აგრეთვე მათი არაჯანსაღი დაპირისპირების ცდები, თავისებურ ლეგენდარულ სამოსელში ხვევდა ორივე კორიფეს.

40-იანი წლების საბჭოთა ეტიუდისტების უმრავლესობა კარგად არ იცნობდა თავისი საზღვარგარეთელი კოლეგის ნაწარმოებებს. ინფორმაციის ნაკლებობამ თავის დროზე არასწორი შეხედულება დაამკვიდრა ჩვენთან რინკის შემოქმედებაზე, შემდგომ კი რინკის სტილი — გარკვეული მასალის ჩარჩოებში ეტიუდის შექმნა — საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა ბევრი ავტორისათვის და დიდი სამსახური გაუწია ეტიუდისა და პრაქტიკული ჭადრაკის ურთიერთდაახლოებას. მკვლევარები თვლიან, რომ ა. რინკი უნივერსალური ეტიუდისტი იყო, ენდშპილის ყველა ვარიანტს სწავლობდა, ხელოვნებასა და სილამაზეს პრაქტიკის, თეორიის სამსახურში აყენებდა. იტალიურ „საჭადრაკო ენციკლოპედიაში“ (1971) ხატოვნადაა ნათქვამი, რომ ნაყოფიერების, ანალიზების სისრულისა და სიზუსტისათვის მას საჭადრაკო ვიქტორ ჰიუგოდ მიიჩნევენ.

ამოსახსნელად გთავაზობთ მის ერთ ეტიუდს. ველით თქვენს პასუხებს.

ა. რინკი



## ამოხსნა

„ლელოს“ 1 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ვ. პახმანის ოთხსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. მფc3! ცუგცვანგი. 1. ...მფg5 2. ლg7+ მფf5 (2. ..მფh5 3. ლf6 და 4. g4×) 3. მფd3! e4+ 4. fe×, 1. ...e4 2. f4 e5 (2. ...e3 3. g4 და 4. g5×) 3. f5 e3 (მფg5) 4. ლg6×. ყველა შამათი სანიმუშოა, მათ შორის ფრჩხილებში მოცემული ვარიანტები ქამელეონური შამათებით მთავრდება.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც სხვებზე ადრე გამოაგზავნა ამოხსნა: ა. კიკნაძე, ო. იაშვილი (ორივე — ბიჭვინთა), ზ. შურღაია (ნოჯიხევი, ხობის რ.), ლია და ეკა კანდელაკიშვილები (ძველი ანაგა, სიღნაღის რ.), ნ. კახიძე, მ. და თ. დიასამიძეები (ბათუმი), რ. ხარბედია (ზუგდიდი), ვ. ბოჭორიშვილი (თერჯოლა), გ. ელიოსიძე (ლიბანი, ბორჯომის რ.).

# „სპორტლოტო“—87

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სპორტული** ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო „სპორტლოტოს“ მოყვარულებს შეახსენებს რა შეღავათებია დაწესებული მათთვის, ვისაც 1987 წელს მაქსიმალური მოგება ხვდება.

მას, ვინც ატტირაჟიანი ბილეთებით (ე. ი. მას, ვინც 10 ტირაჟში ან ერთ ტირაჟში 10-ჯერ მონაწილეობს) მაქსიმალურ მოგებას მიიღებს ერთი ტირაჟის ერთ ვარიანტში, უფლება აქვს ურიგოდ შეიძინოს ავტომობილი „ვოლგა“ — გაზ-24-10.

„ჟიგულის“ მარკის ავტომანქანის ურიგოდ მიღება შეუძლია ყველას, ვინც „45-დან 6“, „36-იდან 5“ და „სპორტპროგნოზის“ ლატარიების ერთი ტირაჟის ერთი ვარიანტით მაქსიმალურ მოგებას მიიღებს.

მათთვის, ვინც „სპორტლოტო“ „45-დან 6“ 6, ან „36-იდან 5“ სპორტის 5 სახეობას ან „სპორტპროგნოზის“ 13 შედეგს გამოიცნობს და მათი მოგება 10 000 მანეთზე ნაკლები აღმოჩნდება, გაგრძელდება რესპუბლიკური სამმართველოს მიერ ადრე გამოცხადებული კონკურსი, რომელშიც „ჟიგულის“ სხვადასხვა მოდიფიკაციის 40 ავტომანქანა გათამაშდება.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ საქართველოში შეძენილი ბილეთები, რომელთა შევსებული „ბვ“ ნაწილები „სპორტლოტოს“ ყუთში უნდა ჩაუშვათ ან ჩააბაროთ უშუალოდ საზოგადოებრივ გამავრცელებლებს სანომრო შტამპის ანაბეჭდის დასასმელად.

ტალონები გაიცემა ბოლო ტირაჟიდან 15 დღის შემდეგ, ერთი თვის მანძილზე.

რიგგარეშე შეძენილი ავტომანქანების გაფორმება იწარმოებს სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოში (ელიავას ქუჩა № 26). მოგებული ბილეთის მფლობელმა პირადად უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მისი პასპორტის ნომერი და მისამართი.

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

# კაიზერი ფრანცი

**1954 წელს,** როცა დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ფრანც ბეკენბაუერი ცხრა წლისა იყო, მაგრამ თანამემამულეთა ამ დიდი გამარჯვებით გახარებულმა და შთაგონებულმა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ფეხბურთელი გამოსულიყო. თავისი ბავშვობის დროინდელი ჩანაფიქრი მან მართლაც განახორციელა.

ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც დაიბადა 1945 წლის 11 სექტემბერს მიუნჰენში, ფოსტის მოხელის ოჯახში, ბავშვობაში იმ დროს პოპულარული კლუბის „მიუნჰენ 1860“-ის თავგამოდებული გულშემატკივარი იყო. ცხადია, როცა მომავალ საფეხბურთო კარიერაზე ფიქრობდა, იგი თავის თავს საყვარელი გუნდის ლურჯ მაისურში გამოწყობილს ხედავდა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ცხოვრებამ შეცვალა მისი გეგმები. ათი წლის ფრანცმა თავის უფროს ძმასთან ვალტერთან ერთად მშობლიური ქალაქის ერთ-ერთ პატარა კლუბში — „მიუნჰენ-06“-ში დაიწყო თამაში. სამი წლის შემდეგ, როცა ფრანცი „მიუნჰენ-1860“-ში მივიდა ბედის საცდელად, ამ კლუბის ხელმძღვანელობამ მასში რაიმე განსაკუთრებული ნიჭი ვერ აღმოაჩინა და ამიტომ არც ჩქარობდა მოზარდის შესაფერისი ასაკის გუნდში ჩარიცხვას. ამასობაში ბეკენბაუერით დაინტერესდა მიუნჰენის მეორე, იმ დროს ნაკლებად პოპულარული, თითქმის უცნობი კლუბი „ბაიერნი“, რომლის ხელმძღვანელობამ 13 წლის ბიჭს ცოტა ხანში ძირითად შემადგენლობაში თამაში აღუთქვა... ფრანც ბეკენბაუერის დებიუტი „ბაიერნის“ პირველი გუნდის შემადგენლობაში 1964 წლის მაისში შედგა. მიუნჰენელები ჰამბურგში ადგილობრივ „სანტ პაულის“ ხვდებოდნენ. იმ მატჩში ბეკენბაუერი მარცხენა ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა, გოლიც გაიტანა და დიდი წვლილიც შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში (4:1). სწორედ ამ შეხვედრით დაიწყო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშის ბრწყინვალე კარიერა.

1965 წლის 26 სექტემბერს ფრანც ბეკენბაუერმა პირველად ითამაშა თავისი ქვეყნის ნაკრებ გუნდში, რომელსაც მაშინ ჰელმუტ შიონი ხელმძღვანელობდა. ამ შორსმჭვრეტელმა სპეციალისტმა, მიუხედავად გარკვეული რისკისა, ოცი წლის ახალბედა გამოიყვანა სტოკჰოლმის „როსუნდის“ სტადიონზე შვეციის ნაკრებთან VIII მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში და არც შემცდარა — გაზეთები მეორე დღესვე ალაპარაკდნენ ახალ ვარსკვლავზე. ფრანც ბეკენბაუერმა ავტორიტეტი კიდევ უფრო განიმტკიცა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც მისმა გუნდმა ფინალში მხოლოდ დამატებითი დროის შემდეგ დაუთმო ნიკეს თასის მასპინძლებს — ინგლისელ ფეხბურთელებს (2:4) და მეორე ადგილს დასჯერდა. ამის შემდეგ დასავლეთგერმანელმა ვარსკვლავმა კიდევ ორ მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშა: 1970 წელს მექსიკაში მისმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა, 1974 წელს კი, შინ, პირველობა არავის დაუთმო და ოქროს ქალღმერთის ნაცვლად დამზადებული ფიფა-ს თასი, როგორც კაპიტანს, თვით ფრანც ბეკენბაუერს გადაეცა. (ნიკეს თასი 1970 წლის ჩემპიონატში გამარჯვებით სამუდამოდ დაისაკუთრეს ბრაზილიელებმა.) მასვე გადაეცა თასი ევროპის 1972 წლის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის. ბეკენბაუერმა ეროვნულ გუნდში სულ 103 შეხვედრა ჩაატარა (15 გოლი) და აქედან 50 მატჩში კაპიტნის სამკლაურით გამოვიდა მინდორზე.

1977 წლამდე, სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდოდა სათამაშოდ, ბეკენბაუერი მიუნჰენის „ბაიერნის“ უცვლელი კაპიტანი იყო. 1974-1976 წლებში ზედიზედ სამჯერ ჩაიბარა თავისი გუნდის მიერ მოპოვებული ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, 1976 წელს კი — საკონტინენტთაშორისო თასიც. ნიუ-იორკის „კოსმოსში“ გატარებული სამი წლის შემდეგ ბეკენბაუერი კვლავ დაუბრუნდა ბუნდესლიგას, მაგრამ ამჯერად „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ ჩაირიცხა. სადაც ორი სეზონი გაატარა, შემდეგ კი საერთოდ გამოეთხოვა ფეხბურთს. სულ ბუნდესლიგაში ბეკენბაუერმა 424 მატჩი ჩაატარა და 45-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ იგი ოთხჯერ დაასახელეს ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელად. ამ წარმატებებისთვის ბეკენბაუერს სამშობლოში „კაიზერი ფრანცი“ შეარქვეს.



ერთხელ მას ჰკითხეს, თქვენი წარმატებები მხოლოდ დიდი ნიჭით არის განპირობებულიო? ბეკენბაუერმა უპასუხა: „ყველაფერში, რასაც მე მივაღწიე, ნიჭის წილად მოდის ხუთი პროცენტი, დანარჩენი 95 პროცენტი კი შრომაა. თავდაუზოგავი შრომის გარეშე ფეხბურთში დიდი წარმატებების მოპოვება შეუძლებელია“.

დიახ, რომ არა დიდი შრომისუნარიანობა, პროფესიონალიზმი, ფრანც ბეკენბაუერი ალბათ ვერ გახდებოდა „ოქროს ბურთის“ ორგზის ლაურეატი (1972, 1976), ვერ მიაღწევდა იმ მაღალ კლასს და განსაცვიფრებელ სტაბილურობას, რამაც ფეხბურთის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაუმკვიდრა. მის სტაბილურობას ისიც მოწმობს, რომ ბეკენბაუერი ერთადერთია, ვინც შეძლო „ოქროს ბურთი“ ოთხი წლის ინტერვალის შემდეგ კვლავ დაესაკუთრებინა.

ახლა „კაიზერი ფრანცი“, როგორც ცნობილია, გფრ-ის ნაკრებს უდგას სათავეში და 1988 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ამზადებს მას. შარშან მან გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, თუმცა, ბევრის აზრით იგი მოთამაშეთა შემადგენლობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ნაკრები იყო გფრ-ის ფეხბურთის ისტორიაში. მაშ ასე, ბეკენბაუერმა-ფეხბურთელმა ადგილი დაუთმო ბეკენბაუერ-მწვრთნელს. ახლა საკითხავი ისაა, გადაიქცევა თუ არა ყოფილი სუპერფეხბურთელი სუპერმწვრთნელად.

**ზურაბ ინასარიძე.**

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 15 თებერვალი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** ჯანმრთელი რომ იყო—**13.15 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში: ვაჟთა რბოლა 15 კილომეტრზე — **13.55 (2),** სპორტული პროგრამა: მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა ციგურაობაში (გადაცემა ჰოლანდიიდან), მსოფლიო ჩემპიონატი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში (გადაცემა გფრ-იდან), სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში (გადაცემა კაუნასიდან), სსრ კავშირის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (გადაცემა მოსკოვიდან), სსრ კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში (გადაცემა ლენინგრადიდან) — **18.30 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა ციგურაობაში (გადაცემა ჰოლანდიიდან) — **0.05 (1).**

**16 თებერვალი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში: ქალთა რბოლა 5 კილომეტრზე — **13.55;** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „შახტიორი“ (დონეცკი)— **20.20 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა ციგურაობაში — **0.20 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 15 თებერვალი.** მე-13 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: არგენტინა — ბელგია — **12.35,** საკავშირო ტურნირი მინიფეხბურთში — **17.00.**

**საქართველოს რადიო. 15 თებერვალი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06772